ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4086245

ნომერი: AR1614739

თარიღი : 10.07.2018

გაცემის თარიღი : 24.07.2018

გაცნობის თარიღი : 24.07.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აეროდრომის დასახლება, , I ქ. მე-2 გას. N7-ის მომიჯნავედ ; ქალაქი თბილისი , დასახლება აეროდრომი , ქუჩა III , N 11 ; ქალაქი თბილისი , აეროდრომის დასახლება 3-ე ქ. N13 ; ქალაქი თბილისი , აეროდრომის დასახლება მე-3 ქ. N13ა ; ქალაქი თბილისი , აეროდრომის დას. I ქუჩა 2-ე გასასვლელი N7;

დამკვეთი-განმცხადებელი
- რამაზი გუგუნაშვილი პ/ნ 12001036838
- გარდაბანი ს. საცხენისი

ორგანიზაცია:
- შპს იქს-სტილი+ კოდი: 406170361

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24

მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 10 ივლისის N AR1614739 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქი თბილისში , დასახლება აეროდრომი , ქუჩა III , N 11 / აეროდრომის დასახლება 3-ე ქ. N13 / აეროდრომის დასახლება მე-3 ქ. N13ა / აეროდრომის დას. I ქუჩა 2-ე გასასვლელი N7-ში, (ს/კ N01.19.36.002.046) ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 14 ნოემბრის N 2933397 ბრძანებით დამტკიცებულ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შედეგად ირკვევა, რომ ითხოვთ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 14 ნოემბრის N 2933397 ბრძანებით დამტკიცებულ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას, კერძოდ დადგენილი უკანა ეზოს გაუქმებას, ვინაიდან ასაბუთებთ, რომ მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე უკვე დარღვეულია უკანა ეზოში შენობის განთავსების წესები. გაცნობებთ, რომ აღნიშნული N14-39 დადგენილების მე-19 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად დასაშვებია, მიწის ნაკვეთის უკანა ეზოს ტერიტორიაზე შენობის ან მისი ნაწილის განთავსება იმ შემთხვევაში, თუ ამ მიწის ნაკვეთის მომიჯნავე მიწის ნაკვეთის უკანა ეზოს ტერიტორიაზე განთავსებულია შენობა, ან განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებულია შენობის განთავსება, ისე რომ დაცული იქნეს ამ მუხლის მოთხოვნები იმ სხვა მოსაზღვრე მიწის ნაკვეთ(ებ)ის მიმართ, რომელთა უკანა ეზოს ტერიტორიაზე შენობა არ არის განთავსებული ან განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებული. მაგრამ აღნიშნული მუხლი არ ითვალისწინებს უკანა ეზოს გაუქმებას თქვენს მიერ მითითებული გარემოების შემთხვევაში. აღნიშნული მოთხოვნები თქვენს მიერ უნდა იქნას გათვალისწინებული დაპროექტების დროს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.